



მეტეხი



საგარეთელოუს დამთკრაკიული პაკტიის თბილისის საგალაღო კომიტაკი 13 იანვარი

● განახლადი ტაჟიკით

კომუნისტური იდეოლოგიური მანქანის მექანიზმი ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ელასტიური და მობილური ხდება. ხალხის დაჩაღრგების საყოველთაოდ ცნობილმა მეტოღებმა თავისი დრო მოჭამა, ვინაიდან მეოცე საუკუნის მიწურულს აღამიანს გაცელებით უფრო მრავლის მომცველი ინფორმაცია გააჩნია. ამიტომ თუკი კომუნისტური რეჟიმი ისევე დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ სოციალისტური სისტემა სჯობია კაპიტალისტურს ან კიდევ საბჭოთა კავშირი მასში შემავალი ყველა ერის სამშობლო და ა.შ., მას თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ნორმალურად მოაზროვნე აღიქვამს, როგორც აშკარა დემაგოგიური მონაჩრახტს. ეს რა თქმა უნდა კომუნისტური იდეოლოგიის თანამედროვე მამებს მშვენივრად ესმით. ამიტომ მათ წინაშე დაღვა ბრძოლის ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობა.

მათ დაიწყეს თვითკრიტიკის ფართო კამპანია. კომპარტიის ცოდვები დაბრალდა რამოდენიმე კონკრეტულ პიროვნებას, ხოლო კომუნისტების თანამედროვე ღირდებმა ჩამოიფარეს კეთილშობილი ჯენტლმენების ნიღბები და დაივიწყეს ის, რომ ვისაც ახლა თავდაუზოგავად აკრიტიკებენ, აღრე მათთვის მამებელ ქათინაურებს არ იშურებდნენ. ამასთან გრძნობენ რა იმას, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს 70 წლის განმავლობაში პიპნობირებული ხალხის მასის უცვარმა გამოღვიძებამ, ცდილობენ უფრო მრავალფეროვანი და დახვეწილი იყოს ახალი იდეოლოგიური ბრძოლის ტაქტიკა, რათა მზად იყოს ყოველგვარი "სიურპრიზებისათვის".

სწორედ, ახალი ტაქტიკური გეგმის პირმშოა ე.წ. "პერესტროიკა", "საჯაროობა" და "დემოკრატიზაცია". მაგრამ ამ პროცესების ნამდვილ არსს ხალხმა დროულად აუღო აღლო. იგი მიხვდა, რომ "საჯაროობა" არ მოიცავს ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებების სრულ ასახვას. კომუნისტური რეჟიმი ამხეურებს მხოლოდ ისეთ ფაქტებს, რომელიც მის საბოლოო კომპრომენტირებას არ მოახდენს. მათ მიერ შემოთავაზებული "დემოკრატიზაცია" არის პოლიტიკური ფარსი, სადაც უგულვლყოფილია თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები. ხოლო რაც შეეხება "პერესტროიკას", თუ გავისხენებთ საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნი ელვარდ შევარდნაძის სიტყვას "ეს არის ურთულესი, უძნელესი და შეუქცევადი პროცესი, რომლის მექანიზმი ბოლომდე არ არის დამუშავებული" ე.ი. თვითონაც არ იციან ზუსტად რას ნიშნავს, მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მათი ტაქტიკური არსენალისა. და რაც უფრო გართულდება პოლიტიკური სიტუაცია, მით უფრო ახალ-ახალი მოულოდნელი სვლებია მოსალოდნელი კრემლის მხრიდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ე.წ. "პერესტროიკა", "საჯაროობა" და "დემოკრატიზაცია" მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური თამაშია. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მანვე ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მძლავრი იმპულსის მისაცემად. სწორედ ამან მისცა საშუალება ეროვნულ-განმათავისუფლებელ პარტიებს გამოსულიყვნენ იატაკქვეშეთიდან და უფრო მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინათ ხალხთან. თამაშობს რა დემოკრატიზაციას საბჭოთა ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ერიდება აშკარა რეპრესიებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრების მიმართ. ვინაიდან ვერ ახერხებს ძალისმიერ დაპირისპირებას სწორად მოაზროვნეების მიმართ, მიმართავს ათასნაირ ხრიკს ახალგამოღვიძებული ხალხის დეზორიენტაციისათვის.

ამითაა გამოწვეული "სახალხო ფრონტის", "რუსთაველის საზოგადოების" და ბოლოს "სოციალ-დემოკრატიული" პარტიის შექმნა. რომლებსაც შექვევლია ცკ ავინანსებს. ამ ორგანიზაციებს თითქოსდა სხვადასხვა ბრძოლის მეთოდები და ფუნქციები გააჩნიათ, მაგრამ ფაქტურად მათ ერთ საერთო კონცეფცია აქვთ. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა ე.წ. პარლამენტური გზით. მიუხედავად იმისა, რომ მათ მყავთ ბევრი პროგრესულად მო-

აზროვნე პიროვნება, მთლიანობაში მაინც ეს ორგანიზაციები გაცილებით უფრო საშიშია ქართველი ხალხისათვის, მათი მცდარი, უპერსპექტივო და დამლუპველი პოზიციის გამო, ვიდრე თვით "9 აპრილის" ორგანიზატორი საკავშირო კომუნისტური პარტია, რომლის მიმართაც ქართველ ხალხს უკვე ჩამოუყალიბდა გარკვეული სტერეოტიპი. მისი ხსენება ქართველი კაცის შეგნებაში იწვევს დაუძინებელი მტრის ასოციაციას. ეს სამართლიანად დამსახურა სკკპ-მ როგორც ქართველი ერის გენოციდის ორგანიზატორმა, თუმცა ბოლო ხანებში უნდა აღინიშნოს, რომ განელდა ის მკვეთრი ანტიგონისტური დამოკიდებულება სკკპ-ს მიმართ, როგორც იყო 9 აპრილის შემდგომ დღეებში, ამაში კი თავისი "წვლილი" ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციებსაც მიუძღვით.



ისინი ყოველნაირად ცდილობენ ხალხი ჩამოაშორონ პოლიტიკურ ბრძოლას და აქცენტი გადააქვთ ნაკლებად მნიშვნელოვან სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, ეთნიკურ და ა.შ. პრობლემებზე. აქტიურ პროპაგანდას უწევენ "კარგი" საბჭოთა დეპუტატის არჩევას. თუმცა, ბოლო ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგაგრწუნა, რომ საქართველოში თვით ე.წ. მთავრობის წარმომადგენელსაც კი არ გააჩნია ნამდვილი პოლიტიკური ძალაუფლება და რაც ყველაზე პარადოქსულია ბ-ნი გუმბარიძეც კი არ არის კომპეტენტური ე.წ. რესპუბლიკისათვის საკირბორთო არც თუ ისე გლობალური მნიშვნელობის საკითხები გადაწყვიტოს. კონკრეტულად მხედველობაში მაქვს აფხაზეთის საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა 15 ივლისის ტრაგედიის ორგანიზატორების პასუხისგებაში მიცემის თაობაზე. თუკი ცკ-ს პირველ მდივანს შეხელდული უფლებები აქვს, მაშინ რა შეუძლია გააკეთოს ერისათვის ჩვეულებრივმა დეპუტატმა, თუნდაც იგი ჰქვამარტი პატრიოტი იყოს, როცა მას რეალური უფლება მოსილება ფაქტურად არ გააჩნია. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ეს არის ფაქტური სახელმწიფო დაწესებულება, რომლის გადაწყვეტილებებისათვის ვეტოს დადება კრემლისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების და აზერბაიჯანისა უმაღლესმა საბჭოებმა მიიღეს გადაწყვეტილება ე.წ. "რესპუბლიკური სუვერენიტეტის" შესახებ, რომელიც ფაქტურად იმპერიის შიგნით ავტონომიური უფლებების გაფართოებას ნიშნავს. ისიც ყველას კარგად მოგესხენებათ თუ რა უარყოფითი რეაქცია მოყვა ამ გადაწყვეტილებებებს კრემლის მხრიდან და არა მხოლოდ უარყოფითი რეაქცია, არამედ მათ მიმართ გარკვეული გამაფრთხილებელი მუქარაც კი გაისმა. ასე, რომ კრემლი არც მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიური უფლებების გაფართოების აზრს ურიგდება. აქედან გამომდინარე, ქართველმა ხალხმა უნდა შეიგნოს, თუ რას მოგვიტანს ყბალაღებული "პარლამენტ-

ტური ბრძოლის გზა", რომელ პარლამენტზეა დაპირები ქვეყანაში, სადაც მეფობს ტოტალიტარული რეჟიმი, ხოლო იქ სადაც რეალურად არ არსებობს პარლამენტი, ე.წ. პარლამენტური ბრძოლა აბსურდი და წყლის ნაცვია. ამიტომ ის ორგანიზაციები, რომლებიც გულდაგულ ქადაგებენ ერის განთავისუფლების ასეთ გზას, ცხაღზე ცხადია მტრის სამსახურში ღვანან, მის წისკვილებე ასახვენ წყალს და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უფრსკულისაქენ მიაქანებენ.

არანაკლებ უნდა ვერილოთ ეროვნული მოძრაობის ეთნიკურ კრიზისში გადაზრდას. რაც უფრო მწვავე გახდება ეროვნული მოძრაობის მიერ ჩატარებული აქციები, მით უფრო გაამწვავეებს კრემლი საქართველოში არაქართველებსა და ქართველებს შორის დამოკიდებულებას. პრინციპს "გათიშე და იბატონე" ნებისმიერი იმპერიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, სწორედ ამისთვის იყო შექმნილი თავის დროზე საქართველოს ტერიტორიაზე ე.წ. აფხაზეთის ა.ს.ს.რ და სამხრეთ ოსეთის ა.ო. ასევე ქვემო ქართლი მასიურად იქნა დასახლებული მუსულმანური ტომებით, ხოლო ჯავახეთი სომხებით, რათა შემდგომში საკრიოების შემთხვევაში დაეპიპისპირებინა ისინი ქართველებისათვის.

ეროვნულმა მოძრაობამ დროულად გაშიფრა თუ ვინ იყო მთავარი ინსპირატორი მათი გამოსვლებისა ქართველი ერის წინააღმდეგ. ამით თავიდან ავიცილდა ახალი ყარაბაღი საქართველოს მიწაზე. ეს მიუთითებს ქართველი ერის ისტორიულად გამომუშავებულ პოლიტიკურ სიბრძნეზე. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა თანდათანობით უფრო იძაბება. ქართველი ერის მოქანების ფილაძამ ზღვრულ დონეს მიაღწია. ამას შესანიშნავად გრძნობს კრემლიც და მეთოლურად აღვივებს ერთაშორის უთანხმოების ნაპერწკალს, არ ერიდება სულ უფრო ახალი და მზაკვრული პროვოკაციების ინსპირირებას არაქართველი მოსახლეობის მხრიდან. ქართულ ეროვნულ მოძრაობას არანაკლები საფრთხე ემუქრება ახლადამოიკვილი "ინტერფრონტის" ტიპის ორგანიზაციების სახით, რომელიც შესანიშნავი დეტონატორი იქნება მომავალში. მათი შექმნა კრემლის წინგამიზნული ნაბიჯია.

მაგრამ ისმის კითხვა რითი შეიძლება დავუპირისპირდეთ ეთნოკრიზისს? ერთადერთი ყველაზე საიმელო რეცეპტი ეთნიკური კონფლიქტების აღმოსახვერებად, რომელსაც შეუძლია ჩაითრიოს ქართველი ხალხი დაუსრულებელ ერთაშორის შინაომში, არის მისი გადაზრდა პოლიტიკურ კრიზისში, რომელიც გამოიხატება მასობრივ მანიფესტაციებში, გაფიცვებში იურიდიულ და ეროვნულ დაუმორჩილებლობაში. მაგრამ ეს პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმაა-უფრო მშვიდობიანი აქტია უარის თქმა ყველაფერ საბჭოურზე/მხედველობაში მაქვს კომკავშირის, სკკპ-წევრობის მასიური დატოვება, საბჭოთა არჩევნების ბოიკოტი, ალტერნატიული არჩევნების ჩატარება, საოკუპაციო ჯარში სამსახურის მასიური უარყოფა, მოქალაქეობის უარყოფა.

როგორც ხედავთ, მტერი თავის პოზიციას არ თმობს, იგი დღეს "პერესტროიკის" ნიღბამოფარებული არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ქართველი ერისათვის. მისი ვერაგული და მზაკვრული ხრიკების არსენალი საკმაოდ მდიდარია და მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რაც ზემოთ მოგახსენეთ, რაც უფრო წინ გადადგამს ნაბიჯებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მით უფრო დახვეწილი პროვოკაციაა მოსალოდნელი კრემლის მხრიდან. ამიტომ დღეს ყოველი ქართველის ვალია გამოიჩინოს დიდი პოლიტიკური წინდახელულება და არ გაებას მის მიერ დაგებული მახეში. ასევე ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ეროვნულ დამოუკიდებლობაშია, რომ წმინდა ტაძრისკენ მიმავალ გზაზე ბევრი დაბრკოლება მოსალოდნელია და ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ჩვენ გარდა ბორკილებისა, დასაკარგი არაფერი გვაქვს!

ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ვალერი მურჯინელი

306 306 ახილ?

ჩემთვის სსრკ კომუნისტურ პარტიაში შექმნილი მდგომარეობა უფრო ნათლად მას შემდეგ გამოჩნდა, როდესაც პირველად ორგანიზაციას გადავეცემა განცხადება კომ. პარტიის რიგებიდან გასვლის თაობაზე. უმრავლესობამ, მათ შორის კომუნისტებმაც მოიწონეს ეს ნაბიჯი. დანარჩენებთან საუბარში გამოიკვეთა სამი ძირითადი მომენტი:

ერთი წევრი მოაკლდებოდა თუ არა კომ. პარტიის რიგებს ეს მათთვის უმნიშვნელო ფაქტია და ამის გამო არ ღირს კარიერის გაფუჭება, საქართველოში ხომ 400 ათასზე მეტი კომუნისტია.

მომიყვანეს უფრო ძლიერი არგუმენტიც, რომ არ ღირს აქტიურად თავის საფრთხეში ჩაგდება, ანუ შესაძლებელია დადგეს დრო, როდესაც კომუნისტური რეჟიმი დაკარგულ ავტორიტეტს აღგებნას მისთვის ჩვეული რეპრესიებით შეუღლებს.

ხომ არ სჯობია ისევ ჩვენი "კარგები" დავრჩეთ ვიდრე "ჭლებმა" დაიკავონ ჩვენი ადგილი? დავრჩეთ და ვიბრძოლოთ გაფუჭებული საქმის გამოსწორებად.

ეს, ბოლო მომენტი თითქოს საღი აზრია, მაგრამ როგორც კი გაანალიზებთ თუ რამდენად რეალურია, ამკარა ხდება რომ თავის მოტყუება მხოლოდ. უამრავი მაგალითია იმისა თუ როგორ ადვილად იცილებენ თავიდან კომუნისტები ნამდვილ მოწინააღმდეგეებს. რაც მთავარია ლოკურია, რომ საქართველოში რაც უფრო მეტი ქართველი იქნება ბოლშევიკების, ჩვენი დამპყრობლების რიგებში მით ნაკლებ სარწმუნოა; რომ ქართველ ხალხს სურს დამოუკიდებლობის აღდგენა. აქედან გამომდინარე ეს აზრი არა მარტო თავის მოტყუებაა, არამედ წამებებიანიც ეროვნულ მოძრაობისათვის.

მეორე არგუმენტზე მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ვისაც ეშინია ის ღარჩეს, მისი ნებაა. მე სხვა რამ მაფიქრებდა შეიძლება დადგეს დრო შვილმა მკითხოს რა გინდობს კომ. პარტიაში?!

მამდარ მუცელზე აგებული პასუხი ყოველთვის და ყველას არ აკმაყოფილებს, სხვა პასუხი კი არ არსებობს.

კარიერის გაფუჭებას რაც შეეხება. სიტყვა "კარიერა" ფრანგულია, ნიშნავს დაწინაურებას, წარჩინების მოპოვებას სამსახურში. ისევ ჩვენი ძალით შემოღებულია სისტემამ დაამახინჯა მისი არსი, კომ. პარტიის მანდატი აქცია იმ ლოკუმენტად ურთმდისოდაც ნიჭიერი და ენერგიული ადამიანიც კი" თამაშვარე მდგომარეობაში" აღმოჩნდებოდა.

მოკლედ ყველა საწინააღმდეგო მოსაზრებამ უკურნალებია გამოიწვია, იმიტომ, რომ როგორც გამოჩნდა კომ. პარტია თავისი ბაზისიდან გამოდინარე დანაშაულებრივია.

რაკომში, ბიუროზუ და მისთვის კიბვა - ხომ არავინ გაძალებს მანდატის დატოვებას? ეს კიბვა იმდენად უაზროდ მომიჩვენა, რომ მაშინ უპასუხოდ დავტოვე. შემდეგ გავიგე, იმ დღეს თხი ადამიანი ჭავიდა, ხოლო თორმეტი გახდა კომ. პარტიის წევრი! იმ ფონზე რაც აღმოსავლეთ ევროპაში ხდება, როცა სსრკ კონსტიტუციის მექანიზმი მუხლი ჭიანი გარასავით ჰკიდია, როცა საქართველოში ყველა გემოვნების პარტია და საზოგადოება არსებობს იმ თომეტ ადამიანს ვინ აძალებს ან რა აიძულებს ახლა გაწვევრიანდეს კომ. პარტიაში? არ გათვინდების ყოფიან. . . . სხვა რა უნდა თქვა, როცა ხელდა, რომ შეფარდება თხი თორმეტზე იმ ციფრების და პროცენტების ზრდის დევნაა, რამაც დალუპვის პირას მიგვიყვანა. დაუფიქრებია, ეს ციფრი მომგებინა იმ რეჟისორისთვის, რომელმაც დედამიწის 1/6-ის დაპყრობა შეხებლ და მათ შორის ჩვენი სამშობლოს საქართველოსი.

იმავე დროს ყველა, ახალი ის თუ ძველი, კომუნისტი და-პარაკს იწყებს იმით, რომ ის არა ნაკლები ქართველი და პატრიოტია. ჩემის აზრით ეს უკურნალებია, გრძობენ, რომ მართალი ხარ, მაგრამ თვითონ ჯერ არ შეუძლიათ იგივეს გაკეთება, როდის შეძლებენ თვითონაც არ იციან.

ბოლოში მინდა მოვუხალო კომუნისტების იმ მცირედ ნაწილს რომლებსაც მართლა სწამდათ რაღაცის, ესეა შექმნილ მდგომარეობას კი იმას აზრალევენ, ხალხი გაფუჭდაო, იმას კი ვერ აღიარებენ თუ რამ გააფუჭა ხალხი, ეს მართლაც მტკივნეული უნდა იყოს.

ვინ არის პატრიოტი, ვინ ვითომ პატრიოტი, ვინ შემცლარია, ვინ ამკარა მტერი თვითონ მკითხველმა განსაწვდროს

ბოლოს მინდა მოგიწოდოთ დასტოვოთ კომ. პარტიის რიგები. მშვენიერი გრძობაა, როცა საკუთარ სინდისთან მართალი ხარ და მამულისათვის ოდნავ მაინც გაისარჯე.

მამუკა ჯორბენაძე

სოსიანისტურ განაჯი

სოსიანისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობების ცვლილებებისა და გადაფასებების ფონზე უაღრესად განსხვავებულია და ზოგ შემთხვევაში ურთიერთ საპირისპიროც კი ხდება, რაც კიდევ ერთი და მადანსტრუბელი ფაქტია იმისა, რომ კომუნისტური იდეოლოგიის კრახი გარდაუვალია. აღმოსავლეთ ევროპის ორი ქვეყანა უნგრეთი და პოლონეთი უკვე ამკარად დაადგა პრავად-პარტიული სისტემის შექმნის გზას და ორიენტაცია დაადგლემზე აიღო. ამ მხრივ უნგრეთი უფრო გამოირჩევა. ჩეხოსლოვაკიაში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გაურკვეველი სიტუაციაა, თუმცა ამკარაა, რომ ოპო-

ზიციურ ძალებს უკვე უნარი შესწევთ თამამად დაუპირისპირდნენ ადგილობრივ რეჟიმებს. გერ- ში ეს პროცესი განპირობებულია არა მარტო სოციალური მდგომარეობით და ეკონომიკური კრიზისიდან/რაც ყველა კომუნისტური რეჟიმის სახელმწიფოებისათვისაა დამახასიათებელი / თავის დაღწევის სურვილით, არამედ უაღრესად აუცილებელი ეროვნული ერთიანობის მიღწევის სურვილითაც, რაც შეეხება კუბას, ბულგარეთს და ალბანეთს - ადგილობრივი რეჟიმები ჯერ კიდევ ახერხებენ ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგების და ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე შეინარჩუნონ დრომოჭმული სისტემა და ჩაახშონ ოპოზიციის ყოველგვარი გამოვლინება, როგორც სახიფათო არ უნდა იყოს ეს. მაგ. ბულგარეთში რეპრესიებს განიცდიან არაფორმალური ეკოლოგიური ორგანიზაციის წევრებიც კი, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, ბულგარეთში მიმდინარე უკანასკნელი დღეების ანტიტოტალიტარული მოვლენები ტოლორ ჟივოკოვის გადაყენება, კომუნისტური პარტიის წამყვანი როლის უარყოფის მოთხოვნა და სხვა.

სასიხარულო ცნობები მოდის ადმ. ევროპის ყველაზე რეპრესიული რეჟიმის ქვეყნიდან რუმინეთიდან - ჩაუშეს კუს რეჟიმი დაემხო. დაემხო უაღრესად მოკლე დროში.

არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ რეჟიმი რომელსაც არ სურდა რეფორმების გატარება, სხვების დემოკრატიზაციას თამაში, არ მიდიოდა არცერთ კომპრომისზე და მიმართავდა რეპრესიებს უფრო სწრაფად დაემხო. სწორედ ამიტომ არ უნდა მოვტყუოთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიის თამაში, არ უნდა წამოვეგოთ პარლამენტური ბრძოლის იდეის ანკესზე. პირიქით ჩვენ უნდა მივიწვევოდეთ არსებული უკანონო რეჟიმის დესტაბილიზაციისაკენ და არა მისი სტაბილიზაციისკენ - კარგი დემოკრატიის ადგილი ეროვნულ სათათბიროშია და არა ჩვენი დამპყრობლების ორგანოში - უზენაეს საბჭოში. კომპრომისი, გაორდაქმნა, ვითომ დემოკრატიზაცია უმძლავრესი იარაღია კრემლის ხელში ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევისა და კომუნისტური რეჟიმის სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ და ჩვენ ვალია ეს იარაღი გავაუფასუროთ ჩვენი უკომპრომისო მშვილობიანი სამართლებრივი ბრძოლით.

პრალაში ვაჭლავის მოედანზე ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი. მომიტინგეები მოითხოვდნენ თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. ეს იყო 1968 წლის ვარშავის პაქტის ჯარების შემოჭრის შემდგომი პერიოდის ყველაზე დიდი დემონსტრაცია ჩეხოსლოვაკიაში. მიუხედავად პოლიციასთან შეტაკებისა მიტინგები და დემონსტრაციები თხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. აქციებს ხელმძღვანელობდნენ ოპოზიციური ორგანიზაციები " სამოქალაქო ფრონტი" და "ქარტია 77". "მოქალაქეთა ფრონტი" გამოაქვეყნა რეზოლუცია. სადაც ისინი მოითხოვდნენ პოლიტიკურს ზოგერთი წევრის გადადგომას, კერძოდ მათი ვისაც წველი მიუძღვის 1968 წლის სისხლიანი აგვისტოს მოწყობანი - მათ შორის არიან იაკეში და ქვეყნის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი. ისინი მოთხოვენ აგრეთვე სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც გამოიძიებს დემონსტრანტებზე პოლიციის თავდასხმის ფაქტებს. რეზოლუციაში იყო მოთხოვნა პოლიტპატიმართა განთავისუფლების შესახებ.

მიტინგში მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი, მათ შორის კარდინალ ფრანტიშეკ ტომაშევი - მან დაგმო ორმოცწლეოვანი ძალადობის პერიოდი ჩეხოსლოვაკიაში.

საპროტესტო აქციებმა მოიკვია სხვა ქალაქები და პროვინციები. პრაღისლავში სასამართლოს შენობასთან შეიკრიბა 5000-მდე კაცი, სადაც მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი სამართალდამცავი იან ჩარნოტორსკის წინააღმდეგ მონიტინგებმა მოითხოვეს მისი განთავისუფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა " სამოქალაქო ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერის მწერალ ვ.გაველის მოსყიდვისა, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა.

ბუხარესტში გაიმართა რუმინეთის კომ. პარტიის მე-14ე კონგრესი ე.ი. გრანდიოზული სექტატკლი. 3000 - ათასამდე დელეგატი სულგანაბული ელოდა ერის მამის ჩაუშეს კუს გამოჩენას, რომელმც როგორც ეს მისთანებს სრვევითა მოხერხებულად დაავიანა. მისი გამოჩენისთანავე ატყდა ოვაციები და ტამისცემა, დარწახში გაისმოდა ჩა-ვუ-შე-სუ.

შესავალი სიტყვის თქმას 72 წლის ბელადმა სამ საათამდე მოანდომა, რომელიც განუწყვეტილვ წყდებოდა ოვაციებით და ტამით. დარბაზში შექმნილი ატმოსფერო და ჩაუშეს კუს შესავალი სიტყვის შინაარსი - უფრო სწორად მისი უშინაარსობა ნათელიყოფდა, რომ რუმინეთის ხელმძღვანელობა მზად არ იყო რეფორმებისათვის.


ჩაუშეს კუს გააკრიტიკა მეზობელი სოსიანისტური ქვეყნები მარქსისტული პოზიციების დამოშორებით. მან აღნიშნა რომ რუმინეთი გააკლდა " მცენიერულ სოსიანობის გზით" სვლას სულ უფრო და უფრო მეტი წარმატებებისაკენ. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო პაულო ი. ი. " სოსიანობის პროგრამას", მიზნად ისახავდა სოფლისა და ქალაქის ცხოვრების დონის გათანაბრებას ე.წ. განამარტული ცენტრების შექმნას, რომლებშიც ნავარაუდელია ათასობით სოფლის და დაბის გაერთიანება. ჩაუშეს კუს რეჟიმის საყრდენს პირველ რიგში მისი ოჯახური კლანი წარმოადგენდა. მისი ვაჟი მ-ი წლის ჩაკე ახალგაზრდობის საკითხების მიხედვით, ერთ-ერთი ოქტის სიბიუს პატრიული დღევი და პოლიტიკური წევრობის კახილადტი იყო. ბოლო მისა მეთუღე ეღენა ც-ს საკარო კომისიის მეფე. თქ-

თონ ჩაუშეს კუს იყო თავდაცვის საბჭოს თავჯდომარე სხენდუნდი ვო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი სამრეწველო განვითარების უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტი და სოსიანური ერთიანობის ფრონტის პრეზიდენტი.

ყოველივე ეს აადვილებდა ოპოზიციის ნებისმიერ გამოვლინების ჩანასახშივე მოსაშობას.

თავისუფლად მოაზროვნე ინტელექტუალები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში და აღმ. გერმანიაში რეფორმების სულის ჩამდგმელები არიან, რუმინეთში სასტიკად იღვევებოდნენ. ისინი კარავდნენ სამუშაოს და იმყოფებოდნენ შინა პარტიზობაში. პარტიის ექვსი წევრი, რომლებიც შეეცადნენ გაეკრიტიკებინათ ჩაუშეს კუს თვითგაღმერთებისა, ოჯახურ-კლანური პოლიტიკისა და ქვეყნის მრეწველობის გაჩანაგებისათვის - შინაპარტიზობაში აღმოჩნდნენ, მათ შორის იყო რუმინეთის მამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი კორნელიუ მანესკუ და დავებ გამარების განყოფილების ყოფილი მეთაური ბირლადუ. ადამიანის უფებათა სისტემატიური დარღვევა, "სისტემატიზაციის პროგრამა, ყოველგვარი პროგრესული ცვლილებების უარყოფა, ყოველივე ეს რუმინეთს საერთაშორისო იზოლაციაში აქცევდა. ჯიუტად ებღაუჭებოდა რა "კაპიტალისტების გავლენისაგან დამოუკიდებლობის" დეკლარაციას დაქტატორმა რუმინეთი უღარბეს ქეყანად აქცია - სიცვიე, შიმშილი და გრძელი რიგები რუმინეთში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ავისო თავისუფლებისმოყვარე ხალხის მოთმინების ფილა. დაიწყო მასობრივი გამოსვლები, რასაც რეჟიმი ათასობით უიარაღო ადამიანის დახვერვით უპასუხა მაგრამ ზვავის ვის შერჩერება შეუძლებელია ტანკებით - რეჟიმი დაემხო, დიქტატორს საკალრისი ა მიეზლო, სისხლისმსმელი მისი მიერ დაღვრილ სისხლში დაიხრრო. მთავარი ის არის რომ მოიშალა ტოტალიტარობის კიდევ ერთი მძლავრი დასაყრდენი და ამან არ შეიძლება დადებითი გავლენა არ მოახდინოს საბჭოთა



იმპერიაში შე მავალი ხალხების განმთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებაზე. რუმინეთის მოვლენები კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ დამონებული ხალხების მთავარი მტერი მათი მრავალრიცხოვანი არ არის, არამედ მათ სულეში ჩაბუღებული შიმშილი და გაუბედობა, ერი რომელიც შიმის ბარიერს გადალახავს უძლებელია.

აღმოსავლეთ გერმანიაში შექმნილი სიტუაცია შეიძლება შევსადეს, როგორც "ყინულის გაღობა" გერ-ის მთავრობა იძულებულია წავიღეს ნაწილობრივ დამოშობზე. ცკ-ის მღივანმა სამრეწველო დარგში განაცხადა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური წინსვლისათვის საჭიროა მკიდრო კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთის ფირმებთან.

გერ-ის ოპოზიციური ორგანიზაციის "დემოკრატიული გარდატეხის" წევრებმა განაცხადეს, რომ საჭიროა სასწრაფოდ მოხდეს ცვლილებები გერ-ის პოლიტიკაში და ეკონომიკაში, რადგან დრო რესპუბლიკის წინააღმდეგ მუშაობს. განუწყვეტილი გრძელდება იმიგრაცია დასავლეთ გერმანიაში, ეკონომიკური დონის უთანაბრობა გერ-სთან შედარებით ხელს უწყობს სპეკულაციის გავრცელებას, რაც შეიძლება მომავალში აღმ. გერმანიის რეჟიმმა გამოიყენოს გერ-სთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებისა და მიმოსვლის შეზღუდვის საზაბად.

კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს თქმით სოსიანისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს "სამწუხარო მოვლენები" ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ კუბა არ გადაუხვევს მარქსიზმის კურსიდან.

ფიდელ კასტროს შემოთავაზებასაგანგებია - ვინაიდან კუბის საგარეო ვაჭრობის შემოსავლის სამი მეოთხედი სოსიანისტურ ქვეყნებზე მოდის, თუ კუბაში არ დაიწყება რეფორმები ამას შეიძლება მოჰყვეს ურთიერთობის გაუარესება სოც. ქვეყნებთან, ხოლო თუ დაიწყება ამით საფრთხე შეიქმნება ფიდელ კასტროს დიქტატს.

უნგრეთში ადგილი აქონდა უპრეცედენტო შემთხვევას. უნგრეთმა პოლიტიკური თავისუფალი საბჭო არ იმიგრანტს - ერთ რუსს და ერთ ბულგარელს.

პარტიის პირველი მდივანი რაკოვსკიმ ამკარად გამოთქვა შეფუთვა, იმის გამო, რომ შესაძლებელია პარტიის გაყოფა და გააფრთხილა ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი, შეიძლება განმეორდეს "უნგრული" ვარიანტი ე.ი. მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება. რაკოვსკიმ მხარი დაუჭირა "ერთიანი, ცენტრირიდან გამართული და აზრთა სხვადასხვაობისათვის ღია" პარტიას.

თუ როგორ იქნება "ცენტრიდან მართული" და აზრთა სხვადასხვაობისათვის ღია პარტია ამის ახსნა ალბათ დავითონ რაკოვსკისაც გაუჭირდება, ჩვენ კი ვუსურვით პოლონელ ხალხს "უნგრული ვარიანტის" გამეორება.

ზოგადად თუ შევხედავთ სოციალისტურ სამყაროში მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ რომ კომუნისტური იდეოლოგია ამკარად ამოხსნის პოზიციებს და დემოკრატიზაციისათვის ბრძოლა უკვე ერთიანი ფრონტით წარმოებს, მართალია ძნელია მომავლის წინასწარ განჭვრეტა, მაგრამ ის რაც არის დღეს ამკარად იმედის მომცემია. უზარმაზარ მსოფლიო პანორამაში საშუალო იმპერიის ჩაგრული ერები: ქართველები, ბალტიკ-პირელები, მოლდაველები, უკრაინელები, სომხები და სხვები მართლაც არ არიან თავისუფლებისა და დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში.

ვასილ ჭყონიძე.



როგორც ცნობილია, ა.წ 25 სექტემბერს საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ/ ყოფილი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია/ დემოკრატიებისა// ჩაატარა აქცია, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო სსრკ-ს როგორც დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქეობის უარყოფა, მანამდე კი ჩვენი პარტიის მიერ ა.წ. 16 ივლისს მოწყობილი იქნა საბჭოთა პასპორტის მაკეტის სიმბოლური აუტოდაფე.

სტატიის მიზანს არ წარმოადგენს ამ აქციის დაწვრილებით აღწერა. საჭიროა ქართველ ერს განეხილოს, თუ რას მივალწიეთ ამ აქციით ს.დ.პ.-ს წევრებმა და რა შედეგია მოუტანოს სსრკ-ს მოქალაქეობის მასობრივმა უარყოფამ საქართველოს მოსახლეობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოცემულ ეტაპზე.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა ღატოვა ს.დ.პ.-ს ყველა რეალურმა წევრმა და დაახლოებით 200 მდე სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მოქალაქემ. თუმცა ეს ციფრი, რომ იტყვიან "ზღვაში წვეთია" ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, მის დამალვას მაინც ახერხებენ საბჭოთა საინფორმაციო საშუალებები; და ეს მათთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. დამალვაზე იმიტომაცა დაპარაკი, რომ მამინ როდესაც კრემლი თავს იწონებს მსოფლიო სამართალდამცველი ინსტიტუტებისა და საზოგადოებრიობის წინაშე ე.წ. "პერესტროიკით", "გლასტნოსტით" და "დემოკრატიზაციის" დამამბით, აგრეთვე იმით, რომ თითქოს და აშენებს სამართლებრივ სახელმწიფოს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს მისივე სახელმწიფოს მოქალაქეობის უარყოფის ფაქტის განმარტებას. მაგრამ თუ ამ აქტს მიეცემა მასობრივი ხასიათი, ეს იქნება კრემლის მიმართ მშვილობიანი, მაგრამ უმძიმესი დარტყმა, საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ყველაზე მტკიცე და ურყვევი ნაბიჯი. შემდეგ კი თამამად შეიძლება ითქვას საქართველოს დამოუკიდებლობის წინა დღე. ეს აქცია უფრო ეფექტურია და ამავდროულად უფრო ნაკლებ მატერიალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე ვთქვათ ეროვნული დაუმორჩილებლობის ისეთი კორმა, როგორიცაა მასობრივი გაფიცვა, რომელსაც რასაკვირველია, არ გამოვირცხავთ, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ მშვილობიან ფორმას/. ეს არის ერის იურიდიული დაუმორჩილებლობა. მაგრამ, თუ სსრკ მოქალაქეობის უარყოფა იურიდიული დაუმორჩილებლობის ტოლფასია, რატომ არ აიტაცა იგი საქართველოს მოსახლეობამ? ჩვენმა პარტიამ ხომ პრაქტიკულად განახორციელა ეს, თუნდაც საპროტესტო აქციის ჩატარების შემდეგ. როგორც გახედათ "თავისუფლების" მე-15 ნომერში ვიწვევდით 25 სექტემბრის აქციის მონაწილეებზე და იმ მოქალაქეებზე რომლებმაც დაწერეს განცხადება სსრკ მოქალაქეობის დატოვების თაობაზე-გაცემულია დღემდე გასაიდუმლოებული დოკუმენტი- ანკეტა ფორმა №4, რომელიც შევსების შემდეგ იგზავნება სსრკ უმაღლეს საბჭოს.

გამოდის, რომ ხალხში ჯერ კიდევ არის უსაფუძვლო შიში იმიტომ, რომ სსრკ მოქალაქეობაზე უარის თქმის შემთხვევაში დაკარგავს პირად ქონებას, საღმრთოს და ა.შ.

ამის განსამარტავად მომყავს სსრკ კონსტიტუციის 37-ე მუხლის ტექსტი "უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს სსრკ კავშირში გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებანი და თავისუფლებანი, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სამართალს და სახელმწიფო ორგანოებს მათი ძირითადი, კონკრეტული, ოჯახური და სხვა უფლებების დასაცავად".

ე.ი. ვკარგავთ მხოლოდ საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას/არ ავირჩევთ, არ ავგირჩევინ/, თავიდან ვიშორებთ სოციალისტური სამშობლოს დაცვის" წმინდათაწმილა" ვალს/ის.სსრკ კონსტიტუცია მუხ.62,63/ ხალხში გავრცელდა უმართებულო ხმები იმის შესახებ, თითქოსდა სიმბოლურ აუტოდაფეზე დაწვით პასპორტები, ჩვენი პირადობის დამადასტურებელი საბჭოთა დოკუმენტები ხმები პასპორტების დახვევის ან დაწვის შესახებ, რა თქმა უნდა მტკნარი სიცრუეა, რადგან ამის გაკეთებას არავითარი აზრი არა აქვს- საბჭოთა პასპორტი მანამდე იქნება ჩვენს განკარგულებაში, სანამ არ მოგვეცემენ მოქალაქეობის არამქონე პირის დოკუმენტს. გვყოფნის ნებისყოფა ამ დოკუმენტს ველოდით დავიბოძო რადგან სსრკ კანონით ეს ხანგრძლივი პროცესი შეიძლება ამ ფაქტის არცოდნა იმის ერთ- ერთი მიზეზი, ხალხი რომ თავს იკავებს სსრკ მოქალაქეობაზე უარის თქმისაკენ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამჟამად მიმდინარეობს წვევამდებლობის აქცია. ისინი სრულ ბოიკოტს უცხადებენ დამპყრობელი ქვეყნის არმიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურს. ურიგო არ იქნებოდა. მათაც თავისი აქციის სახელით უარი განაცხადონ სსრკ მოქალაქეობაზე, ამით იურიდიული საფუძველი შეეცმნება იმისი, რომ არ გაიარონ საბჭოთა არმიაში სამხედრო სამსახური.

დასასრულს მე მჯერა ქართველი ერის გონიერებისა. ქართველ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. მას არაერთხელ დაუკარგავს თავისუფლება, მაგრამ ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში მოუნახავს თავის წიაღში გონებრივი და სულიერი ენერჯია და ამის წყალობით დაუბრუნებია ეროვნული დამოუკიდებლობა.

სამ მოგიწოდებთ უარი განაცხადოთ დამპყრობელი ქვეყნის სსრკ-ს მოქალაქეობაზე, ვინაიდან ეს არის რეალური გზა ხსნისა, გზა "წმიდა ტაძრისაკენ" მიმავალი.

ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ! დემოკრატიზაცია არს.

სტატია იბეჭდებოდა, როდესაც მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ვაჟა მთავრიშვილი გამოყვანილია საბჭოთა კავშირის მოქალაქეობიდან და მასზე გაცემულია მოქალაქეობის არმქონე პირის პასპორტი-სერია **БГ №505079**.

ВИД НА ЖИТЕЛЬСТВО В СССР ДЛЯ ЛИЦ БЕЗ ГРАЖДАНСТВА Действителен по 11 Октября 1991 г. 1. Фамилия Мташвишвили Имя Важа Отчество Валерьянович 2. Число, месяц и год рождения 9 июня 1950 г. 3. Место рождения г.р. Тбилиси 4. Национальность Грузин 5. Гражданство на день прибытия в СССР

ბრძოლა ბრძოლა 1989 წ. ავარის ასსრ-ის უმაღლესმა სასამართლომ მომისაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ეს იყო ყველაზე პატარა სასჯელი პოლიტიკური მკაცრობისთვის. საკმარისი იყო ან გაგვიქონა კოლმეორეობაზე, მთავრობის წარმომადგენელზე, კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებზე რაიმე საწინააღმდეგო, რომ მოყოლოდა აუტანელი ჯალათური გამოძიება, ცემა, გაგარვარებული შანთებით ორგანიზმის ჩხვლეტა, კარებში თითების მოყოლება, თითებიდან ღრჩხილების აგლეჯა და ამ წამების შემდეგ უდანაშაულო ხალხი

დავყავდით დასახვერტად. ხშირად სასიკვდილო განწყობების ბოლო სიტყვები ასეთი იყო: ვიცით ვეჭვობთ ვხვდებით რამ ის მაინც ვიცოდეთ, რისთვის, რა დავაშავებთ. 1960 წელს პირველად შევიცალე საბჭოთა კავშირის მოქალაქეობიდან გასვლა. მივმართე ეგრეთ წოდებულ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს ხრუმოვის დროს იგივე გავიმეორე ბრუნვის და გორბაჩოვის დროს, ყველა ეს ჩემი განცხადებები ბრუნდებოდა საქართველოს ცკ-ში უშიშროების კომიტეტში, მინაგან საქმეთა სამინისტროში. გამომახედა, "საუბრები" და... ამით მთავრდებოდა ყველაფერი.

1967 წელს გადავწყვიტე სახელმწიფო საზღვრის გადალახვა, რათა გავშორებოდი ამ დამპყრობელ კომუნისტურ ვაობს, დამაპატიმრეს და 3 წელი გავატარე განსაკუთრებული რეჟიმის ციხეში. ეს ჩემი ნაბიჯი შეუმჩნეველი დარჩა, რადგან იმ დროს, ამკარად ასეთის მსურველი და კომპარტიის წინააღმდეგ უარყოფით მებრძოლი მართლაც იყო. დღემდე დღემდე დავგანახავა, თურმე უამრავი ქართველი ყოფილა კომპარტიის წინააღმდეგ მებრძოლი დაღა ჩემთვის წინააღმდეგა. ჩემმა 30 წლის ბრძოლამ დღეს გამიმართლა და შევუერთდი ამ სანატრელ ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობას- 68 წლის ასაკში გავხდი ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის - საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრი. დღეს აღარ მინდა საზღვრის გადალახვა, დღეს აღარ მინდა ამ კომუნისტური ვაობიდან განშორება და სხვა სახელმწიფოს მფარველობა დღეს საქართველოში უნდა დავაბრუნო ეს დამპყრობელი კომუნისტური ვაობი, საქართველო მივიყვანოთ სრულ გამარჯვებამდე, ქართველი ხალხის თავისუფლებამდე და საქართველოს სახელმწიფოებრივი უფლებების აღდგენამდე. ეს ასევე იქნება ბატონობა, მაგრამ ამას უნდა თანადგომომა. ქართველი ხალხი უნდა გამოვიდნენ სსრკ-ს მოქალაქეობიდან. საქართველო უნდა გახდეს დამოუკიდებელი და ქართველი ხალხი თავისუფალი რუსეთის კომუნისტური იმპერიისგან. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, თუ გინდ სისხლადაც, ეს ასე უნდა იყოს. უკან დასახვევი გზა აღარ არის, მეორე აზრი არ არსებობს - უნდა უნდა ვთქვათ ყოველნაირ საბჭოთა ორგანიზაციებზე და თანმიმდევრობით საბჭოთა ორგანიზაციები გაგვაუქმოთ. ისე როგორც 25 სექტემბერს ბევრი პიონერული და კომკავშირული პირველადი ორგანიზაციები გაუქმდა, პიონერული ყელსახვევები, კომკავშირული ბილეთები და ნაწილობრივ პარტიული ბილეთებიც გადაიყარა ისტორიის სანაგვე ყუბოში. ეს მისასალმებელია, მაგრამ მთავარზე უნდა ვიფიქროთ. ისე მასობრივად, როგორც კომკავშირელები გამოვიდნენ კომკავშირის რიგებიდან, ასევე მასობრივად უნდა გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეობიდან. თუ არ იქნება საქართველოში პიონერული, კომკავშირული, პარტიული ორგანიზაციები და არ ვიქნებით საბჭოთა მოქალაქეები, ფაქტობრივად განხორციელდება სრული დაუმორჩილებლობა. დარჩება დამპყრობელი და ჯალათი საბჭოთა არმიის განდევნა საქართველოდან. ამასაც მოვუფიქროთ. საბჭოთა მოქალაქეობის არ მქონე პიროვნებას ვერ წაიყვანენ საბჭოთა სავალდებულო სამსახურში, არ მოვიღებთ მონაწილეობას საბჭოთა არჩევნებში. სხვა დანარჩენს უფლებები შეუზღუდავი გვექნება, თანაბრად საბჭოთა მოქალაქისა.

მოგიწოდებთ ყველა ქართველს, ისე, როგორც ჩვენმა ახალგაზრდობამ სანიმუშოდ, საჩვენებლად ჩაატარა 25 სექტემბრის აქცია, ასევე მასობრივად ჩაგვეტარებინოს საბჭოთა მოქალაქეობიდან გამოსვლის აქცია. მოგვმართეთ დამატებითი ცნობებისათვის საქართველოს დემოკრატიულ პარტიას.

დემოკრატიული პარტიის წევრი, პენსიონერი მიხეილ ვადაცკორია.

სღპ მოგინდობათ უახრი თქვამთ საბჭოთა მოქალაქეობაზე! ბოიკოტი საბჭოთა არჩევნებზე!!!

სად არის სიზარითა?! გახედათ "თბილისის" ა/წ-ის 13 ლექსების ნომერში გამოქვეყნდა დავით მეღვინის სტატია-"ვიყო რეალისტები, თვლი ვუსწოროთ სინამდვილეს", რომელშიც ავტორი გამოთქვამს თავის მოსაზრებებს საქართველოში შე-

ქმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ და მიუნიშნებს ამ პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებზე. აღნიშნული სტატია, პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად. პირველ ნაწილში, ავტორი კონსტატაციას უკეთებს უკვე პრაქტიკულად მომდარ მოვლენებს და, ჩვენი აზრით, სწორ პოლიტიკურ შეცდომებს აბეჯის მათ, რაც შეეხება მეორე ნაწილს, მასში მას ჩამოყალიბებული აქვს თავისუფალი პოზიცია, თუ როგორ უნდა განვიხილოთ საომარო მოვლენები დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში.

რა თქმა უნდა, ყველა აქვს უზენაესი უფლება თავისი აზრი გამოხატოს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვიტყვით უფლებას შევუკვამთათ მათ იმ გადაწყვეტილებათა ირგვლივ, რომლებიც ჩვენი აზრით, ვერ ნახულობენ სწორ შეფასებას.

წინამდებარე წერილი ამოცანად ისახავს სწორედ პასუხი გაეცეს და მელუხას სტატიის მეორე ნაწილს და მიუნიშნოს ავტორს იმ უნებლიე თუ შეგნებულ შეცდომებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით დაშვებულია მის სტატიაში მოკვლე, რომ ჩამოვყალიბებთ მისი პოლიტიკური ფორმულა, ის შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად. ავტორი დაბეჯითებით მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას აქტიური მონაწილეობა მიიღოს ე.წ. საქართველოს უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში და ე.წ. პატიოსანი და აქტიური დეპუტატები გაიყვანოს მის შემადგენლობაში.

ჩვენი აზრით, ასეთი პოზიცია, რბილად რომ ითქვას, ძალზედ მცდარია. შევეცდებით მოვიყვანოთ დ.მელუხას /და არა მარტო მისი/ პოზიციის გამაქარწყლებელი კონტრარგუმენტები.

როგორც ცნობილია, დღემდე არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურაში ე.წ. უმაღლესი საბჭოები/ საკავშირო, რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკის/ იერარქიულად იყვნენ დაკავშირებული და ვერტიკალურ ზრდაში მათ შორის დაკანონებული იყო უსიტყვო სუბორდინაცია. ე.წ. "გარდაქმნის" ავტორების აზრით საჭიროა ამ ურთიერთობათა რეკონსტრუქცია, რაც ჩვენი აზრით შემდეგში გამოიხატება ე.წ. საკავშირო უმაღლესი საბჭო წინასწარ განსაზღვრავს იერარქიულ ვერტიკალურ ზრდაში, სხვადასხვა საფეხურებზე მდგომი ე.წ. უმაღლესი საბჭოს პოლიტიკურ პრეროგატივებს. რა თქმა უნდა პოლიტიკური რეკონსტრუქციის ავტორები გარკვეულწილად მიდიან ზოგიერთ დამოუკიდებელ და ავტონომიურ ამ პრეროგატივებს, მაგრამ ისინი გამორიცხავენ ამ პრეროგატივათა საზღვრებს გარეთ გასვლას. საერთო ჯამში შენარჩუნებულია ვერტიკალური, იერარქიული სუბორდინაციის პრიმატი ე.წ. საკავშირო უმაღლესი საბჭოსა და ქვემდგომ საფეხურზე მყოფ საბჭოებს შორის. ჩვენი აზრით, არ უნდა ბევრი მტკიცება იმ მოსაზრებას, რომ ასეთი პოლიტიკური სტრუქტურა სხვა არაფერია თუ არა ხისტ ფედერაციულ საწყისებზე აგებული ურთიერთობა.

იმისათვის, რომ მოხდეს ჭეშმარიტი გარდაქმნა, ჩვენ აზრით საჭიროა ისეთი პოლიტიკური სტრუქტურის შექმნა, რომლის დროსაც გამოიხატული იქნება იერარქიული სუბორდინაციის შესაძლებლობა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს/საქართველოს, მოლდავეთს და ა.შ./ ჰქონდეს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ხოლო რაც შეეხება ურთიერთობებს ცალკეულ სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის, ის უნდა აგებული იყოს ორმხრივ ან მრავალმხრივ დროებით ხელშეკრულებებზე.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მკითხველი გავიგებს, რომ ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ არჩევნების ჩატარებისა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ერთდროით რასაც ჩვენ მოვითხოვთ, ესაა-თავისუფალი, დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ეროვნული სა-თავთბროს არჩევა.

ჩვენ გვწამს, რომ პოლიტიკური პროცესების ობიექტური მსვლელობა აღნიშნულ გვიან მოგვიყვანს სწორედ ასეთ შედეგებამდე. მაგრამ იმავე დროს ვთვლით, რომ ჩვენი დამოკიდებულება 1990 წლის მარტში დანიშნულ არჩევნების მიმართ არ უნდა იყოს ლიბერალური და შემწყობარებლური.

მოგვიწოდებთ სწორედ შევასახოთ შექმნილი სიტუაცია და აქტიური ბოიკოტი გამოუცხადოთ მომავალ წელს დანიშნულ ე.წ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებს, რათა შეიქმნას ის ხელშეწყობი სიტუაცია, რომელიც მოკვცემს საშუალებას ავტორით რესპუბლიკის ჭეშმარიტი უმაღლესი საკანონმდებლო და განმკარგულებელი ორგანო-ეროვნული სათავთბროს.

თეიმურაზ მნათელი

პიროვნული თავისუფლება პიროვნული თავისუფლების გარანტია

1989 წლის 10 დეკემბერს, მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა "აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" მიღების 41-ე წლისთავი. ეს საიუბილეო თარიღი შეუმჩნეველი დარჩებოდა საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის თუ არა ოპოზიციური ორგანიზაციების ძალისხმევით ამ ზოგადსაკაცობრივ მნიშვნელობის დოკუმენტის კიდევ ერთხელ წარმოსაჩინად. როგორც თქვენთვის ცნობილია, ეს დოკუმენტი დღე აღინიშნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან მოწყობილი საპრესბესტო აქციით, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ე.წ. "ღვინის" მოღონისაგან მსვლელობაში, სადაც ჩატარებულ იქნა საერთო-სახალხო მიტინგი. ამ მიტინგის ერთ-ერთი და უმთავრესი მოთხოვნა იყო საბჭოთა ომპერიაში დღემდე არსებული აღამიანის უფლებათა ხელყოფის კიდევ ერთხელ გამოაშკარავება და ამის კვალობაზე საზოგადოებრივ აზრის ანტიომპერიალური განწყობის შემდგომი გამძაფრება და ეროვნული ძალების კონსოლიდაცია.

მიუხედავად იმისა, რომ "აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია" დეკლარაციული ხასიათის დოკუმენტია და მას არ გააჩნია იურიდიულად აუცილებელი დოკუმენტის მნიშვნელობა, ძალზედ დიდია მისი მორალურ-ზნეობრივი ავტორიტეტის როლის დარღვევისაგან ყოველთვის ერიდება თავისუფალი და დემოკრატიული სამყარო აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეკემბრის თვეში შესრულდა მეორე არჩევნების მიშვნელობის საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის საიუბილეო თარიღიც, რომელიც უზუალოდაა დაკავშირებული აღამიანის პირადი უფლებების დაცვასთან. დაპარაკია "აღამიანის უფლებათა პაქტებზე", რომლებიც მიღებული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 16 დეკემბერს. ამ ბოლო დოკუმენტების მიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ აქვთ იურიდიულად აუცილებელი დოკუმენტების სტატუსი და მათში უფრო დიდია და დასრულებულია და მოცემული დეკლარაციაში ფორმული აღამიანის ნის მეტობს გამოვლენისათვის საჭირო თავისუფლებანი და უფლებები.

მიღებულია და მოქმედებს ორი სახის პაქტი. ესენია: ა) აღამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა პაქტი; ბ) აღამიანის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკური უფლებათა პაქტი.

მიგვაჩნია, რომ ძალზედ ძნელია საგაზეთო წიგნში ზემოთაღნიშნული დოკუმენტების შინაარსობრივი დეტალიზაცია და მნიშვნელობის მოკლე მიმოხილვა. კი, მაგრამ თავს მივუცემთ უფლებას სქემატურად და შესივების სახით აღვნიშნოთ ეს ძირითადი რაც ამ დოკუმენტებთან დაკავშირებულია.

თუ განვიხილავთ მათი ფაქტობრივი შესრულებების მიშნიან რეობას ე.წ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ მიუხედავად იმისა რომ ე.წ. საბჭოთა კავშირში ფორმალურად ცნო ამ დოკუმენტების სრული ძალისხსნება, მაშინ გათვალისწინებული მოთხოვნები ყოველდღეურად და უზემად ითვლება ტოტალიტარული სახელმწიფო სისტემის მიხედვით. ფაქტობრივად ბოკირებულია პარტოვნების ხელშეუხებლობის განხორციელება და სამართალდებობის დაცვა. სიტყვის თავისუფლება და ყველბის მანტიაშია გამოხვეული, რაც მსოფლიო მხედველობით და პოლიტიკური განსაზღვრულობის წინააღმდეგაა მიმართული. ბოლოკრატიულ/აპარატისა და მათგან განსწილებული აქვთ გავლენის სფეროში და ტოტალიტარული სახელმწიფო მექანიზმისათვის დამახასიათებელი ბერკეტების გამოყენებით ძალზედ კარგად ახერხებენ პარტოვნების თავისუფალი განვითარების გამოკვლენის დაბრუნებას. განსაკუთრებულად წარმატებით ხორციელდება მოსახლეობის აპოლიტიზაცია და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარება, რომლის ქვეშეშეშეშე ნაბიჯად ჩანს ოფიციალური ხელისუფლების სურვილი უფრო წარმატებულად განახორციელოს და გაიადგელოს პოლიტიკურად გაუნათლებელი მასების მართვა.

აღამიანის უფლებათა ტოტალური გათვლენის კლასიკურმა მაგალითად მოგვევლინა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, რომლებიც დატრიალდა ე.წ. მთავრობის სასახლის წინ. 9 აპრილის ტრაგედიაში ფოკუსირებული იყო აღამიანის ელემენტარულ უფლებათა სრული უპაუცელებლობა სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა იერარქიულ საფეხურებზე მდგომი ორგანოების მიხედვით.

განსაკუთრებით გვიანდა გამოვყოთ აღამიანის უფლებათა ორივე პაქტის პირველ მუხლებში დაფიქსირებული უფლებრივი მოთხოვნები, სადაც დაპარაკია ნებისმიერი აღამიანის უფლებაზე განახორციელოს თავისუფალი არჩევანი თავისი თუ საზოგადოებრივი ხასიათის აქციაცია. უნდა პიროვნებას თუ არ იგი საზოგადოებრივ ერთობლებში ნაწილიცაა და იმისათვის რომ დაცული იყოს პიროვნებაში ურთიერთობის მისაღები მოღვლი; აუცილებელი და გასათვალისწინებელი მოთხოვნაა აღამიანის პიროვნული არჩევანის შეხამებას პრინციპის გამოყენება. პიროვნული მნიშვნელობის საერთო ვექტორის გამომხატვლად გვევლინება ის სოციალური ჭრილის სხვადასხვა სეგმენტში მოხვედრილი მოსახლეობის წარმომადგენლები და საერთო ჯამში რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს გავლენისგარეშე პოლიტიკური უფლება თავისი ცხოვრების წესის ფუნქციონირების მისაღები მოღვლის დაკანონებასთან დაკავშირებით.

1. ნებისმიერ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება... ისინი თავისუფალი ნებით უნდა განსაზღვრავდნენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მიმართულებებს.

2. პაქტში მონაწილე ყველა სახელმწიფომ... ხელი უნდა შეუწყოს ერთი თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას და პაქტივი სცეს ამ უფლებას" (მხ. "აღამიანის უფლებათა პაქტები", მუხლი 1) - ამ საკაცობრივო სურვილში გამოხატულია როგორც პიროვნების, ასევე ერის უფლება თავისუფლად გაარკვიოს თავისი არჩევანი და განვითარების გზებზე მისი შინაგანად ბუნებისა და შესაძლებლობათა შესაბამისად.

ზემოთაღნიშნული პრინციპული დოკუმენტების პრაქტიკულად განხორციელების ერთდროით მისაღებ პირობათ, ჩვენის აზრით, შეიძლება ჩამოვთვალოთ ეროვნულ-სამთავროს არჩევნებზე თავისუფალი, დემოკრატიული და მრავალპარტიული პრინციპების დაცვის საფუძველები. მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური სტრუქტურის გადამყვანად აღნიშნულ მოღვლეს და ეკონომიკის ჭეშმარიტად დემოკრატიულად შეიძლება შექმნა მისი აუცილებელი პირობები, რომლებიც მომავალში გუნდასაზღვრავდნენ თვითუფლებების თავისუფლად გუნდათარებისა და სრულყოფისათვის საჭირო სოციალური ფონის შესაბამის მდგომარეობას.

თუ რამდენად იქნება დაცული "აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის" და "აღამიანის უფლებათა პაქტების" უფლებრივი მოთხოვნები, ეს, აღმათ ვგადათვლით გამოჩინდება მომავალ არჩევნებში, რომლებიც დაინიშნულა 1990 წლისათვის და ჩამოვთვალოთ ბოიკოტი/დაბეჯითება აქვთ თანამოქალაქურ არჩევნებზე.

დაე, თვითუფლებები თვითგანმა თავისუფლად გადაწყვეტისა და დამოუკიდებლობის უფლებების ბოიკოტები და მთავრობით თუ არა უფლება, როგორც პარტოვნულ, ასევე ეროვნულ განზომილებებში, თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი განვითარებისა

ტ.ტარაგული

მ წ უ რ მ ა ც ა

1990 წლის 4 იანვარს საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მონაწილეობით განათავსდა უფლებრივი იქნა მთავრობის სახლის მიშვნებარე ტერიტორია რომელიც შემოკავებული იყო ბეტონის ფილებით და ხის ღობით. ამით კიდევ ერთხელ უტრირი იქნა მიტანილი მთავრობის სახლზე.

ამავე დღიდან დაიწყო მასობრივი მიტინგები. მ იანვარიდან ეროვნული ხსნის კომიტეტში შეშავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული იქნა ეროვნული შიშვნელობა საწყისი ეტაპზე. წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნები აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ამასთანავე გაიმართოს დიალოგ ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის დიდებულებასა და საკავშირო კომუნისტური პარტიის პოლიტიკურს და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს შორის. ამასთან დიალოგ უნდა შედგეს ნებართვით აღვილს და იგი უნდა იყოს ტრანსლერებული ცენტრალური ტელევიზიის საშუალებით.

შიშვნელობას მოჰყვა გაფიცვების ტალღა. დღეისათვის გაფიცულია მთელი რიგი საწარმოებისა და სასწავლო დაწესებულებებისა. აქცია გრძელდება.

მოგვწერეთ: ლენინარსკის ქ. № 2, მე-3-ე სართული
საქართველოს დემოკრატიული პარტია.
დაგვირეკეთ: 36 - 71- 87 ტალახაძე ვახტანგი.

— ფასი 1 მან. —

ნომერი მოამზადეს: ვასილ ცყომიძემ, ტარიელ ტარიელაშვილმა, ლალი აფციაურმა, ვადერი მურჯიკნელმა, თეიმურაზ მნათელმა.

ტექნიკური რედაქტორი: ნუზუარ კვახაძე.

გაზეთ "მეტეხის" რედაქციას განზრახული აქვს გამოაქვეყნოს მკითხველების მიერ გამოგზავნილი სტატიები, მისაზრებები და ინფორმაციები.

ამასთან არ არის აუცილებელი თქვენს მიერ გამოგზავნილ სტატიაში ჩამოყალიბებული პოზიცია ემთხვეოდეს ჩვენი პარტიის პოზიციას.